



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
28 ნოემბერი, 2016

ეკონომიკა


საგარეო ვაჭრობა: საქსტატის მონაცემებით, 2016 წლის ოქტომბერში იმპორტი წლიურად 7.4%-ით გაიზარდა და 661.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ექსპორტი 0.8%-ით გაიზარდა და 189.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 10.3%-ით გაიზარდა და 472.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ძირითადი საექსპორტო საქონლიდან გაიზარდა სპილენძის (+4.7% წ/წ), ავტომობილების (+26.0% წ/წ), ღვინის (+24.9% წ/წ), ფეროშენადნობების (+33.0% წ/წ) და სპირტიანი სასმელების (+17.3% წ/წ) ექსპორტი, ხოლო შემცირდა თხილის (-3.9% წ/წ), და სასუქების (-84.4% წ/წ) ექსპორტი.

2016 წლის ოქტომბერში, 5 უმსხვილესი საიმპორტო საქონელი იყო: ნავთობი (+17.3% წ/წ), მსუბუქი ავტომობილები (+12.3% წ/წ), აირები (+3.7%), მედიკამენტები (+11.3% წ/წ) და ტელეფონები (+21.9% წ/წ).

2016 წლის იანვარ-ოქტომბრის განმავლობაში, იმპორტი შემცირებულია 2.1%-ით და შეადგენს 5.86 მლრდ აშშ დოლარს (ც-ჰეპატიტის მედიკამენტების გამორიცხვით), ექსპორტი შემცირებულია 7.2%-ით 1.70 მლრდ აშშ დოლარამდე, და შედეგად სავაჭრო დეფიციტი შეადგენს 4.16 მლრდ აშშ დოლარს (+0.2% წ/წ).


საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 2016 წლის ოქტომბერში წლიურად 7.6%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების ზრდა 7.3% იყო) და 16.9 მლრდ ლარი შეადგინა. ამასთან, საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 2016 წლის ოქტომბერში წლიურად 12.6%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით ზრდა 12.5% იყო) და 15.6 მლრდ ლარი შეადგინა. საანგარიშო პერიოდში უმოქმედო სესხები 3.9%-ს გაუტოლდა (წინა თვესთან შედარებით 0.1%-ული პუნქტით მეტი).

საქონლის ექსპორტი, 10M16



წყარო: საქსტატი
შენიშვნა: მედიკამენტების იმპორტი მოცემულია ც-ჰეპატიტის იმპორტის გამორიცხვით

საქონლის იმპორტი, 10M16



ეკონომიკური ინდიკატორები

	10M16	2015	2014
მშპ (%-ლი ცვლილება)	2.6% ^(ა)	2.8%	4.6%
მშპ ერთ სულზე (ppp)	...	9,630	9,209
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	...	3,759	3,676
მოსახლეობა (მლნ)	3.7 ⁽¹⁾	3.7 ⁽¹⁾	4.5
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	-0.2%	4.9%	2.0%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	2.8	2.5	2.7
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	13.4% ⁽²⁾	11.8%	10.6%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	...	3.8%	3.0%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	...	41.5%	35.5%


წყარო: ოფიციალური მონაცემები

(1) მოსახლეობის აღწერის წინასწარი შედეგები

(2) 2016 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით

(3) 2016 წლის 9 თვის მდგომარეობით

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

შენიშვნა: 3Q16-ს ზრდა მოცემულია წინასწარი შეფასებით

საერთაშორისო რეიტინგები, 2016-17

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №16 (საუკეთესო 20-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №23 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №59 (გაუმჯობესებული ტენდენცია)

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

STANDARD & POORS BB- სტაბილური დადასტურებული ნოემბერი-2016	Moody's INVESTORS SERVICE Ba3 სტაბილური დადასტურებული მარტი-2016	FitchRatings BB- სტაბილური დადასტურებული სექტემბერი-2016
--	---	--

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები




ფულადი ბაზარი

რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 1,310 მლნ ლარის (524.5 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა.

სადეპოზიტო სერტიფიკატები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 182-დღიანი, 20 მლნ ლარის (8.0 მლნ აშშ დოლარი) ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები გაყიდა. საპროცენტო განაკვეთმა საშუალოდ 6.87% შეადგინა (15 საბაზისო პუნქტით მეტი წინა განთავსებასთან შედარებით).


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2016 წლის 22 ნოემბერს 10-წლიანი 7.5 მლნ ლარის (3.0 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 10.750% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2016 წლის 7 დეკემბერს, სადაც 2-წლიანი 30 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: სტ


მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



წყარო: სტ


შენიშვნა: ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2016 წლის 14 დეკემბერს შედგება.

სადეპოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)



წყარო: სტ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სტ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას.




ობლიგაციები

კორპორატიული ვერობლიგაციები: საქართველოს ბანკის ვერობლიგაცია (BGEOLN) დაიხურა 6.0%-იანი შემოსავლიანობით, ფასით - 99.8 (-0.5% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ვერობლიგაციები - GEOROG 05/17-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით - 101.4 (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით) და 3.7%-იანი შემოსავლიანობით, ხოლო GEOROG 04/21-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 103.8 (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით, 5.8%-იანი შემოსავლიანობით). საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 107.2 ფასად (-0.6% წინა კვირასთან შედარებით), 6.2%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით - 108.2 (-0.1% წინა კვირასთან შედარებით), 4.8%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა %)




	ადგილობრივი ობლიგაციები					ვერობლიგაციები				
	M2RE 10/19	Nikora 03/18	GWP 12/17	EVEX 05/17	GLC 09/17	GEOROG 04/21	GEOROG 05/17	BGEOLN 07/23	GEORG 04/21	GRAIL 07/22
მოცულობა მლნ აშშ \$	25	5	6*	15	10	250	53.5	350	500	500
გამოშვების თარიღი	10/16	03/16	12/15	05/15	09/14	04/16	05/12	07/16	04/11	07/12
დაფარვის თარიღი	10/19	03/18	12/17	05/17	09/17	04/21	05/17	07/23	04/21	07/22
კუპონი, %	7.50	11.00	14.00**	9.50	8.75	6.750	6.875	6.000	6.875	7.750
Fitch/S&P/ Moody's	-/-	-/-	BB-/B-	-/-	-/-	BB-/B+	BB-/B+	BB-/B1	BB-/BB- /Ba3	BB-/B-
საშუალო ფასი, აშშ \$	102.61	102.72	100.0*	101.46	101.2	103.8	101.4	99.8	108.2	107.2
საშუალო პროცენტი %	6.5	8.750	14.0	6.25	7.25	5.8	3.7	6.0	4.8	6.2
Z-spread, bps	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	389.9	203.0	400.4	293.1	427.2

წყარო: ბლუმბერგი

*GWP 12/17 მოცემულია ლარში

**მცურავი განაკვეთი (სემ-ის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7.5%)

საქართველოს ვერობლიგაციების ბაზარი



აღმოსავლეთი ევროპის 10-წლიანი სუვერენული ვერობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ქვეყანა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი, %	დაფარვის თარიღი	რეიტინგი (Fitch/S&P/Moody's)	საშუალო ფასი, აშშ \$	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
საქართველო	500	6.875%	12/04/2021	BB-/BB-/Ba3	108.2	4.8	293.1
აზერბაიჯანი	1,250	4.750%	18/03/2024	BB+/-/Ba1	98.5	5.0	292.0
ბულგარეთი	323	5.000%	19/07/2021	BBB-/B-	119.6	0.7	-238.3
ხორვატია	1,250	3.875%	30/05/2022	BB/BB/Ba2	106.8	2.5	233.5
უნგრეთი	3,000	6.375%	29/03/2021	BBB-/BBB-/Baa3	112.5	3.3	149.2
რუმინეთი	2,250	6.750%	07/02/2022	BBB-/BBB-/Baa3	114.8	3.6	178.5
რუსეთი	3,500	5.000%	29/04/2020	BBB-/BB-/Ba1	105.4	3.3	162.7
თურქეთი	2,000	5.625%	30/03/2021	BBB-/NR/Ba1	102.5	5.0	319.2

წყარო: ბლუმბერგი



აქციები

BGEO ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 30.50 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +7.96% წინა კვირასთან შედარებით და -0.10% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 425 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 27.85 – 31.42 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 70 ათასი აქცია შეადგინა, რაც გასული თვის მონაცემზე მეტია. FTSE 250 ინდექსი, რომელშიც BGEO შედის, წინა კვირასთან დაიკლო 0.35%-ით ხოლო წინა თვესთან დაიკლო 1.15%-ით. ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 1.08% შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 13.49 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (+1.81% წინა კვირასთან შედარებით და +2.39% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 216 ათასს გადააჭარბა, GBP 13.00 – 13.55 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 29 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 3.65 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (+2.10% წინა კვირასთან შედარებით და +2.01% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 70 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 3.58 – 3.70 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 11 ათასი აქცია შეადგინა. მოცემულ კვირაში ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.05% შეადგინა.

საქართველოს საფონდო ბირჟაზე ლიბერთი ბანკის აქციები ივაჭრებოდა 0.017 ლარად (+6.25% წინა კვირასთან შედარებით), შედეგად გალტ ენდ თაგარტის ინდექსი გაიზარდა და 908.64-ს გაუტოლდა.

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.	
BGEO*	BGEO	37.98	1,500	2.0%	2.6%	0.6%	35.4%	38.6%
TBC*	TBC	16.80	876	4.5%	40.0%	37.7%	66.3%	97.6%
Halyk Bank	HSBK	5.74	1,578	-11.7%	-7.4%	22.1%	16.0%	-5.4%
KKB	KKB	1.37	546	-0.7%	-13.8%	-13.8%	11.8%	-14.4%
VTB Bank	VTBR	2.06	13,330	-6.5%	1.1%	-1.5%	-2.5%	-6.8%
Vozrozhdenie Bank	VZRZ	10.86	258	-3.0%	1.5%	11.4%	31.6%	17.7%
Sberbank	SBER	10.25	55,290	2.9%	13.5%	26.4%	74.2%	44.1%

წყარო: ბლუმბერგი

*BGEO და TBC ივაჭრება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში, ხოლო ცხრილში მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში
შენიშვნა: TBC-ის აქციის ფასის 6-თვიანი, წლის დასაწყისიდან და 1-წლიანი ცვლილება დაანგარიშებულია მოცემულ თარიღებში GDR-ების ფასებთან მიმართებაში


ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები

კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.	
GHG*	GHG	4.54	598	0.0%	30.1%	23.5%	99.0%	71.8%
Mouwasat	MOUWASAT	35.45	1,773	11.3%	6.8%	0.7%	9.3%	15.8%
Fortis	FORH	2.57	1,193	-3.3%	-2.1%	2.5%	-5.3%	6.9%
Raffles	RFMD	1.03	1,804	-5.3%	-7.2%	-8.1%	5.5%	2.8%
IHH	IHH	1.43	11,788	-7.6%	-13.4%	-10.3%	-6.3%	-7.8%
Bangkok Chain	BCH	0.38	952	4.2%	14.8%	27.4%	52.2%	63.1%
Netcare	NTC	2.37	3,463	-7.2%	3.2%	14.6%	8.2%	-10.3%

წყარო: ბლუმბერგი


*GHG ივაჭრება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში, ხოლო ცხრილში მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში

BGEO ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: ბლუმბერგი

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: ბლუმბერგი

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)



წყარო: ბლუმბერგი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოთხოვნებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მოთხოვნილი თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge